გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის

ანგარიში

მოგახსენებთ, რომ 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 13 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 212 საკითხის განხილვაში.

გაერთიანებული ვარ ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოში''. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე -85 საკითხის განხილვაში.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრარულ და მიწის საკითხთა კომისიის, ასევე სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის წევრი.

დავესწარი სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის 9 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 36 საკითხის განხილვაში.

ასევე, დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის, ბუნებრივი რესურსების, აგრრულ და მიწის საკითხთა კომისიის- 10 სხდომას, სადაც განხილული იქნა- 60 საკითხი.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში პერიოდულად ვხვდებოდი მოსახლეობას, სადაც გამოვლინდა შემდეგი პრობლემები:

- შევხვდი სოფელ **კოშკის** მოსახლეობას რომლებიც ითხოვენ სარწყავი წყლის მოწესრიგებას, ავტობუსის გაჩერების აშენებას, ბაღებში გზების მოხრეშვას.
- შევხვდი სოფელ **ზარდიაანთ კარის** მოსახლეობას. ისინი ითხოვენ ავტობუსის მოსაცდელის მოწყობას.
- შევხვდი **სოფელ მელვრეკისის** მოსახლეობას რომლებიც ითხოვენ ავტობუსის მოსაცდელის აშენებას და გზის რეაბილიტაციას.
- შვხვდი სოფელ **ბროწლეთის** მოსახლეობას. ისინი ითხოვენ გარე განათების და ნაგვის ურნების დამატებას.
- შევხვდი **სოფელი არბოს** მოსახლეობას. ისინი ითხოვენ ცენტრალური ქუჩისთვის ანტონ ფურცელაძის სახელის მინიჭებას, ნაგვის ურნებს და სანიაღვრე არხების მოწესრიგებას.
- შევხვდი **სოფელ თერგვისის** მოსახლეობას. ისინი ითხოვენ: სანიაღვრე არხების მოწყობას, ნაგვის ურნების დამატებას, საუბნო გზების მოწესრიგებას.

პრობლემების ნაწილი მოგვარებული იქნა, ნაწილი კი გათვალისწინებული იქნება მომდევნო 2025 წლის ბიუჯეტში.

ამასთან ერთად აქტიურად ვარ ჩართული მუნიციპალიტეტის როგორც საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების, ასევე მერიის სამუშაო ჯგუფების საქმიანობაში. გარდა ამისა აქტიურად ვმონაწილეობ საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ მუშაობაში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

სოფელი ტირძნისი **2024 წლის 19 ოქტომბერი**

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: მარლენ ნადირაძე;

ფრაქცია ,,ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო"- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ჯაბა იმერლიშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: გორის მუნიციპალიტეტის ტირძნისის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი აკაკი გიუნაშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე- მარლენ ნადირაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ჯაბა იმერლიშვილის 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ჯაბა იმერ და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს. სხდომის დღის წესრიგის მიხედვით

სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ჯაბა იმერლიშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსახლეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა ინფრასტრუქტურულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ჯაბა იმერლიშვილმა აღნიშნა, რომ აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომლის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: გიორგი ელიკაშვილმა და რამინ კოლოტაშვილმა.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთთანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: **მარლენ ნადირაძე;**

საკრებულოს წევრი: **ჯაბა იმერლიშვილი.**